

ფინანსური ანგარიშგება

01.01.2023 -31.12.2023

აღფენ ინშაათ ვე თიჯარეთ საქართველო
ფილიალი

ბათუმი

09.30.2024

ალფენ ინშაათ ვე თიჯარეთ საქართველო 445638436 რეგისტრირებულია საქართველოში 21.04.2022 წელს რეგისტრაციის მისამართი ბათუმი მესხეთის ქუჩა N6. კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია შპს ალფენ ინშაათ ვე თიჯარეთ, 0051007629500016, 434513-0 /თურქეთი/. კომპანიის დირექტორია საბაჰათთინ ალი ერგინ, 18221133506, U22100002 /თურქეთი/.

ფილიალის საქმიანობაა სამშენებლო სამონტაჟო მომსახურეობა, იგი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს გოგინაური ჰესის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებს შუახევის რაიონი სოფელ გოგინაურში.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ შეადგინა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მონაცემებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია რომ ფილიალი დაარსდა უშუალოდ გოგინაური ჰესის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად და მას სხვა დამატებითი საქმიანობა 2023 წლის ანგარიშგების თარიღისათვის არ გააჩნია. ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის კომპანია საქმიანობს შეუფერხებლად.

1. ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წარმოდგენილ 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 2.230.479 ლარს დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით. რაც შედგება დროებითი საცხოვრებელი ნაგებობის, მძიმე ტექნიკის, საქმიანობაში გამოსაყენებელი ინვენტარის, ავეჯისა და კომპიუტერული მოწყობილობებისაგან.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი დაზიანების, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში მისგან ეკონომიკური სარგებელი. ძირითადი საშუალების დაზიანების ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიწოდებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

2. მარაგები

კომპანია მარაგებში, დაუმთავრებელი მშენებლობის სახით აღრიცხავს სამშენებლო და დამხმარე მასალებს. პროექტით გათვალისწინებული მასალების შევსებას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე არსებული მომწოდებლებისა და ნაწილობრივ იმპორტირების გზით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფილიალს მიწოდებიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნა არ ერიცხება, ვინაიდან მიწოდება ხდება ეტაპობრივად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, რასაც მიწოდების დღესვე ანაზღაურებს დამკვეთი.

ფილიალის საბალანსო მონაცემებში აღირიცხება მისაღები მომსახურეობისათვის გადასხილი ანაგისაგან წარმოშობილი მოთხოვნა.

სავაჭრო ვალდებულებები

ფილიალი მომწოდებლებთან ურთიერთობისას ახორციელებს როგორც ავანსად გადახდილი თანხით საქონლის შესყიდვას ასევე სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. იგი შემდგომი გადახდის პირობით მოწოდებული მასალის ღირებულებას იხდის პერიოდულად და ანულებს მას.

3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საანგარიშგებო პერიოდში ფილიალი სარგებლობს ზირაათ ბანკის მიერ გაცემული, თანხით უზრუნველყოფილი სესხით, წლიური 3%

სასესხო ვალდებულება არ ერიცხება. იგი პერიოდულად (საჭიროების მიხედვით) იყენებს მოკლევადიან საბანკო საგარანტიო წერილს რაზედაც დარიცხული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გამოყენებულ იქნა.

4. ამონაგები

ამონაგები გაწეული მომსახურეობიდან მაშინ აღიარდება როდესაც დამკვეთს მიეწოდება მიღება ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა. ანგარიშსწორება მომხმარებლებთან ხდება როგორც მიწოდებისთანავე გადახდით, ასევე ავანსად მიღებული თანხის გაქვითვის პრინციპით.

5. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. ფილიალს 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა, არ უფიქსირდება

6. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

2022 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო ზარალმა შეადგინა 14.548 ლარი.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3920540	863159
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	3920540	863159
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2312782	-301885
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1607758	561274
სხვა საოპერაციო შემოსავალი	51959	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1458845	-532039
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-421167	-243095
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-48876	-10648
იჯარის ხარჯი	-27084	-1864
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-662185	-90750
სულ საოპერაციო ხარჯები	-2566198	-878396
საოპერაციო მოგება	-958440	-317122
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-80847	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	-1039287	-317122
მოგების გადასახადის ხარჯი	0	565
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1039287	-316557
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1039287	-316557
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	739433	0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	1209233	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	1055990
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	909379	739433

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	513247	767332
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	30009	61727
მარაგები	2525	473013
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	2525	473013
საინვესტიციო ქონება	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	119660
ძირითადი საშუალებები	2230479	1111783
სულ აქტივები	2776260	2533515
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1362098	680973
ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7950	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	493197	529353
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	3636	583756
სულ ვალდებულებები	1866881	1794082
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2265223	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-1355844	-316557
გადაფასების რეზერვი	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	1055990
სულ საკუთარი კაპიტალი	909379	739433
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2776260	2533515
სულ მოკლევადიანი აქტივები	2776260	2413855
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1866881	1674987

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2512281	2880959
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1441688	702416
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-4208054	-2809237
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-254085	774138
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-6806
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	767332	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	513247	767332

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდგომ კომპანიას მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკასა და საქმიანობაში, არ განუხორციელებია იგი სტაბილურად მიყვება არჩეულ გზას და ცდილობს გაზარდოს საქმიანობის მოცულობები.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მინდობილი პირი მეთინ ესატ დილექ 2024 წლის 30 სექტემბერს.

ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე